

## აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოლო დროს განვითარებული შიდაპოლიტიკური დაძაბულობის შესახებ

2016 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში, დე ფაქტო აფხაზეთში, ე.წ. პრეზიდენტის ვიზიტს მოსკოვში წინ უძღოდა ე.წ. ოპოზიციური ძალების გააქტიურება. კერძოდ, 30 ნოემბერს ქ. სოხუმში პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ VII ყრილობა ჩატარდა. (30.11.2016 <http://abkhazinform.com/item/4960-esli-raul-khadzhimba-ne-primet-reshenie-o-dosrochnoj-dobrovolnoj-otstavke-s-posta-prezidenta-blok-oppozitsionnykh-sil-15-dekabrya-provedet-narodnyj-skhod>)

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს დეფაქტო რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომელიც მათი აზრით კრიზისულია.

ე.წ. პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის, ალხას კვიცინიას განცხადებით:

„პოლიტიკური პარტია „ამცახარა“ და „ოპოზიციურ ძალთა ბლოკი“ გამოდიან მოთხოვნით გადადგეს პრეზიდენტი, რათა გადარჩეს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა. დაშვებული უხეში შეცდომები, რომელთაც ჩვენ კატასტროფულს ვუწოდებთ, მოითხოვს ხელისუფლების შეცვლას. თუ ხაჯიმბას რეჟიმი 2019 წლამდე შენარჩუნდება რესპუბლიკაში გამოუსწორებელი პროცესები განვითარდება“

აგრეთვე, ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ ოპოზიციურ ძალთა ბლოკში შემავალი-საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქალები პოლიტიკაში“ ხელმძღვანელი ირინა აგრბა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „კიარაზა“ ხელმძღვანელი დიმიტრი დბარი, ოპოზიციურ ძალთა ბლოკის თანათავმჯდომარე ასლან ბჟანია, მოძრაობა „აფხაზეთის დედები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის“ სოხუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფირუზა კაპბა და სხვები.

ყრილობის შედეგად მიღებულ იქნა რეზოლუცია სადაც ვკითხულობთ:

„აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს არ სურს ეროვნული თანხმობის მიღწევა და სახელმწიფოებრიობის განვითარება. მოვითხოვთ რაულ ხაჯიმბა გადადგეს და აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრებამ (პარლამენტმა) დანიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. თუ რაულ ხაჯიმბა არ მოისმენს ჩვენს მოთხოვნას და ნებაყოფლობით არ გადადგება აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტიდან, ჩვენ მოვიწვევთ სახალხო შეკრებას, რომელიც შედგება 2016 წლის 15 დეკემბერს ქლაქ სოხუმში“.

„ამცახარას“ ყრილობის პარალელურად, სოხუმში რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერთა მიტინგი გაიმართა, რომლის ორგანიზატორები ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „არუა“ და პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი“ იყვნენ. (30.11.2016 [http://www.aiaaira.com/news/society/raul\\_khadzhimba\\_nepravilno\\_chtoby\\_tolko\\_oppozitsiya\\_reshalo\\_sudbu\\_prezidenta/](http://www.aiaaira.com/news/society/raul_khadzhimba_nepravilno_chtoby_tolko_oppozitsiya_reshalo_sudbu_prezidenta/))

მიტინგს დე ფაქტო აფხაზეთის პრემიერ - მინისტრი ბესლან ბარციცი და პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი ესწრებოდა.

მიტინგზე ე.წ. პარლამენტის დეპუტატმა, თემურ გულიამ, რაულ ხაჯიმბას მოუწოდა უფრო მკაცრი მეთოდების გამოყენებისაკენ სტაბილურობისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად, რადგანაც მისივე განმარტებით, „მხოლოდ სტაბილურობაში და ეროვნულ თანხმობაში დევს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გასაღები.“

მიტინგზე შეკრებილ მხარდამჭერებთან რაულ ხაჯიმბამ ისაუბრა ვლადიმერ პუტინთან განსახილველ საკითხებზე და კომენტარი გაუკეთა ე.წ. ოპოზიციის მოთხოვნას:

„მე მივდივარ მოსკოვში ჩვენი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს თემებზე სასაუბროდ. პირველი-ეს არის რუსეთთან ჩვენი ვალის საკითხი. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ვიზრუნოთ სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე და ამავე დროს დავფაროთ დავალიანება, რომელმაც უკვე სამ მილიარდს გადააჭარბა. მეორე ეს არის ენერგომომარაგების საკითხი. 2018 წელს ჩვენ მოგვიწევს ენგური ჰესის დახურვა. აუცილებელია სარემონტო სამუშაოების გაწევა, რომლებიც მინიმუმ ერთ

წელიწადს გაგრძელდება. საიდან უნდა ავიღოთ ამ დროს ჩვენ ენერჯია? ყველამ კარგად იცის გუმისტის ხიდის საკითხი, რომლის აგებასაც დიდი თანხა ესაჭიროება. სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ მივდივარ მოსკოვში. მართალია 2014 წელს ჩატარებულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციამ ჩემს კანდიდატურას არ მისცა ხმა, მაგრამ ჩემი მხარდამჭერები უფრო მეტნი იყვნენ და ამიტომ არასწორი იქნება თუ მხოლოდ ოპოზიციის აზრი იქნება გათვალისწინებული. სახელმწიფოს მეთაურს ხალხი ირჩევს და არა ცალკეული პიროვნებები, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან. თუ მთელი ხალხი შეიკრიბება და მოითხოვს, რომ წავიდე, მე -წავალ“.

2016 წლის 1 დეკემბერს, მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის და დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის შეხვედრა შედგა, რომელზეც, აფხაზური მედიის ინფორმაციით, ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები განიხილეს.

რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის ურთიერთთანამშრომლობა ვითარდება ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში. **(01.12.2016<https://ria.ru/politics/20161201/1482624997.html>)** რაც შეეხება დეფაქტო აფხაზეთში შიდაპოლიტიკურ ვითარებას, მან ხაზგასმით აღნიშნა:

**„ჩვენ ვხედავთ, რომ აფხაზეთში რთული შიდა პოლიტიკური ვითარებაა. ეს ნორმალური პროცესია ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში და საზოგადოებაში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესები კონტროლის ქვეშ წარიმართება, არ გავა სამართლებრივი ველიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მიერ დაგეგმილი ეკონომიკური თანამშრომლობის განხორციელება გართულდება“.**

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ განცხადებით, პუტინმა მიუთითა ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეებს თუ რომელ მხარესთან ითანამშრომლებს რუსეთის ხელისუფლება.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ამ განცხადებას წინ უძღოდა ფედერალური საბჭოს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რუსული მხარე ითანამშრომლებს მხოლოდ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური დაპირისპირების მთავარი ფიგურანტები (რაულ ხაჯიმბა და „ოპოზიციურ ძალთა ბლოკი“) ერთმანეთს არ ეჯიბრებიან თავისი მოკავშირის და პოლიტიკური პარტნიორის არჩევანში. ორივე მხარის აზრით საქართველოს პოლიტიკური ველიდან გასვლის პრობლემა გადაწყვეტილია. მათ შორის კამათი არ მიმდინარეობს თემაზე, კარგია თუ არა რუსეთთან. მხარეებს შორის კონფლიქტი მდგომარეობს ე.წ. დამოუკიდებლობის მიღწევის ხედვასა და ფინანსების, თავდაცვის, უსაფრთხოების სფეროში რუსეთზე დამოკიდებულებაში.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ბოლო დროს მიმდინარე პროცესები, აუცილებელია მივუბრუნდეთ დეფაქტო აფხაზეთში 2014 წლის მაისში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც საპროტესტო გამოსვლების შედეგად, რომლის ორგანიზატორიც პოლიტიკური პარტია „სახალხო ერთობის ფორუმი“ და მისი ლიდერი რაულ ხაჯიმბა იყო, მაშინდელი ე.წ. პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი გადადგა და დანიშნულ იქნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. მაშინდელ არჩევნებში რაულ ხაჯიმბამ თავის კონკურენტ ასლან ბჟანიას (50,6%-ით 36%-ის წინააღმდეგ) ამომრჩეველთა ხმათა რაოდენობით მოუგო. აღსანიშნავია, რომ მაშინ დამარცხებულმა მხარემ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა, ხოლო, ალექსანდრე ანქვაბის გადადგომა სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასა.

2014 წელს ოპოზიციონერი რაულ ხაჯიმბა ე.წ. პრეზიდენტი გახდა, ოპოზიცია და მთავრობა ადგილებით შეიცვალა, მაგრამ მათ შორის კონსტრუქციული დიალოგი მაინც ვერ შედგა. მოქმედი „პრეზიდენტი“ უკმაყოფილებას ე.წ. ოპოზიცია ჯერ კიდევ 2015 წლის შემოდგომაზე გამოთქვამდა. მაშინ პოლიტიკური პარტია „ამცხარა“, რაულ ხაჯიმბას კორუფციის ზრდას, ე.წ. ოპოზიციასთან დიალოგზე უარის თქმას, რუსეთისგან დამოუკიდებლად დეფაქტო აფხაზეთის სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების არარსებობას უყენებდა პრეტენზიად და მისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას ითხოვდა.

შემდეგი საპროტესტო ტალღა 2016 წლის დასაწყისში აგორდა, როდესაც ე.წ. ოპოზიციამ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. მაშინ რეფერენდუმის ჩატარების ე.წ. საინიციატივო ჯგუფი სახალხო კენჭისყრას და ფაქტო აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გაურესების გამო ითხოვდა.

ა.წ 1 ივნისს, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ხელი მოაწერა „**2016 წლის 10 ივლისს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ**“ განკარგულებას.

რეფერენდუმს წინ უძღოდა 5 ივლისის მასობრივი არეულობები, რომელსაც დაე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. შსს-ს მინისტრის - ლეონიდ მაბუზას გადადგომა მოჰყვა. მას ოპოზიციამ რეფერენდუმის ჩაშლის მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და თანამშრომელთა დაშინებას უყენებდა ბრალად. (10.07.2016 <http://www.rbc.ru/politics/10/07/2016/57825c1c9a79473fbbd393a2>)

მაშინ, რაულ ხაჯიმბა ბევრ დათმობაზე წავიდა (გადააყენა და ფაქტო აფხაზეთის შსს-ს მინისტრი, უფლება მისცა და ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეებს ვადაგასული პასპორტებით მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კენჭისყრაში, აგრეთვე, მონაწილეობის უფლება მიეცათ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მყოფ და ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეებს), მაგრამ მან უარი თქვა რეფერენდუმის შემოდგომისთვის გადატანაზე. ამის შემდეგ ოპოზიციას არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ რეფერენდუმისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა.

მიმდინარე წლის 10 ივლისს, და ფაქტო აფხაზეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელიც მოგვიანებით, როდესაც კენჭისყრის უბნები დაიხურა, რაულ ხაჯიმბამ არშემდგარად გამოაცხადა, რადგანაც პლებისციტის მონაწილეების რაოდენობამ და ფაქტო აფხაზეთის მკვიდრთა 1% შეადგინა.

რა შეიძლება ითქვას 2016 წლის რეფერენდუმის შესახებ, რომელიც შეფასდა როგორც ყველაზე უცნაური სახალხო კენჭისყრა, ვის ინტერესებში იყო მისი დანიშვნა, ჩატარება და ჩაშლა?

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, რეფერენდუმის შედეგებით ისარგებლა ორივე მხარემ: - რაულ ხაჯიმბამ თავისი პოზიციები გაიმყარა და თავისი ვადამდელი გადადგომის საკითხი, არჩევნების გზით, კარგა ხნით, საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე (2019 წლამდე) გადადო.

რაც შეეხება ოპოზიციას, იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, რეფერენდუმი მათთვის პოლიტიკური კრაზით დამთავრდა, საპროტესტო გამოსვლები გაგრძელდა, რასაც მოყვა მთავრობის გადადგომა და ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება. აღნიშნული ოპოზიციამ თავის გამარჯვებად გამოაცხადა და მათივე განმარტებით მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ოპოზიციამ ანგარიშგასაწევი ძალაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არანაირი იდეოლოგიური კონფლიქტი მხარეებს შორის არ არსებობს და ზოგიერთი ექსპერტის მიერ დაანონსებულ „მაიდანზე სუბტროპიკებში“ საუბარი ზედმეტია, რადგანაც, უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთი აფხაზეთისთვის ერთადერთი საიმედო პარტნიორია.

ამდენად, დაპირისპირების მიზეზს კლანებს შორის ძალაუფლების გადანაწილება, პირადული კონფლიქტი, საბიუჯეტო და ინვესტირებულ სახსრებთან წვდომა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში დებატებისას ან მიტინგებზე წამოიწეოდა ისეთი საკითხები, როგორცაა რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები, კანონი „სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის შესახებ“, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში და სხვა.